სახელი, გვარი: ჯვებე ნაჭყებია
მისამართი: თბილისი, [redacted]
ტელეფონის ნომერი: [redacted]
ელ.ფოსტა: [redacted]

ავტობიოგრაფია

მე, ჯვებე ნაჭყებია დავიბადე 1979 წლის 18 ოქტომბერს, მარტვილის რაიონში. ვარ საქართველოს მოქალაქე.

1986 წელს სწავლა დავიწყე მარტვილის რაიონის სოფელ კურზუს საშუალო სკოლაში, რომელიც დავამთავრე 1997 წელს. იმავე წელს ჩავირიცხე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, სამართალმცოდნეობის სპეციალობით. სრული კურსი დავასრულე 2002 წელს და მომენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.

2003 წლის აპრილის თვიდან 2005 წლის მაისის ჩათვლით, ვმუშაობდი საქართველოს უზენაეს სასამართლოში სხდომის მდივნის პოზიციაზე. 2005 წლის ივლისიდან იმავე წლის ნოემბრამდე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სხდომის მდივნად, 2005 წლის ნოემბრის თვიდან 2010 წლის ივლისის თვის ჩათვლით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის ბიუროს მოსამართლის თანაშემწის პოზიციაზე. 2010 წლის ნოემბრიდან 2014 წლის ივლისის თვემდე ვმუშაობდი სსიპ „გიორგი ოთარაშვილის იურიდიული კომპანიის“ იურისტად. 2016 წლის ივნისიდან 2023 წლის 26 ოქტომბრამდე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის სამდივნოს მთავარი კონსულტანტი-მოსამართლის თანაშემწე - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის პოზიციაზე.

2009 წლის 20-21 ივნისს, მონაწილეობა მივიღე ტრენინგში თემაზე „საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა“;

2009 წლის 20-21 თებერვალს ვმონაწილეობდი ტრენინგში თემაზე „ადამიანის უფლებები“;

2010 წლის 30 იანვარს ვმონაწილეობდი ტრენინგში თემაზე „აღკვეთის ღონისძიებების შესახებ ბრძანების დასაბუთება“;

2017 წლის 27-29 იანვარს ვმონაწილეობდი ტრენინგში თემაზე „ადამიანის უფლებები“.

2017 წლის 18-19 თებერვალს ვმონაწილეობდი ტრენინგში თემაზე „ადამიანის უფლებები.

2017 წლის 15-16 ივნისს ვმონაწილეობდი ტრენინგში თემაზე „ადამიანის უფლებათა ევროპული და საერთაშორისო სტანდარტები (ზოგადი კურსი)“;

2017 წლის 22 დეკემბერს ვმონაწილეობდი ტრენინგში თემაზე „სისხლის სამართლის პროცესის აქტუალური საკითხები;

2018 წლის 22-23 სექტემბერს ვმონაწილეობდი ტრენინგში თემაზე „მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხები“;

2018 წლის ოქტომბრიდან იმავე წლის იანვრამდე ვიყავი HELP-ის (Human Rights Education for Legal Professionals) დისტანციური სწავლების ონლაინ კურსის მონაწილე, ჩავაბარე გამოცდა და მივიღე სერტიფიკატი.

2022 წლის 18-19 ივნისს ვმონაწილეობდი ტრენინგში თემაზე „სქესობრივი დანაშაული“.

2023 წლის 24 სექტემბერს ჩავაბარე მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

2023 წლის ოქტომბერში ჩავირიცხე იუტიციის მსმენელთა სასწავლო კურსზე, რის საფუძველზეც 2023 წლის 26 ოქტომბრიდან 2024 წლის 26 ოქტომბრამდე ვიყავი იუსტიციის მსმენელი.

მყავს მეუღლე.

ჯვებე ნაჭყებია

08.11.2024 წელი